11/08/2026

MES 9 26 0001036349

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 29 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87226025037

Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:
ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი:
თამარ კვინიკაძე - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ვალერი ჯაჯანიძე
ირმა ღარიბაშვილი
ეკა ბუთხუზი
თეა ნარეკლიშვილი
ირმა მეგრელიძე
თეკლე ცუცქირიძე
თემურ საღინაძე
თამარ ზარანდია
მამუკა ხოშტარია
ირმა ღარიბაშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი მოდუსი
სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორი – ნინო ქავთარაძე
დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში – მაია დალაქიშვილი
დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში – დიანა გოშაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი – ქეთევან გურგენიშვილი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი – სოფიო სუხიშვილი
კოლეჯის ხარისხის მენეჯერი – ნინო დვალი
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი – ვლადიმერ ახობაძე

სსიპ კოლეჯი "ლაკადა"
დირექტორი - დავით პაჭკორია
დირექტორის მოადგილე – თეანა ქუხილავა
ხარისხის მართვის მენეჯერი – თამარ მანია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი ,,ლაკადასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „შედუღება“, „სადურგლო საქმე“, „კულინარია“, „მეხილეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯი „მოდუსისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის №635814 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ქ. რუსთავში, სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ მიერ წარმოდგენილი ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა“ – ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის ივნისში (23, 24 და 25 ივნისს) განახორციელა ვიზიტები ქ. რუსთავში, ჟ. შარტავას გამზ. N4-ში მდებარე კოლეჯში. ვიზიტები წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ჩატარდა გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და მოდულების განმახორციელებლებთან, შემოწმდა სასწავლო და მატერიალური რესურსები, პრაქტიკული ორგანიზებისა და შეფასების სისტემები. ვიზიტების დასასრულს ექსპერტებმა შეაჯამეს მიგნებები და ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის დებულების აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით შეაფასეს როგორც შესაბამისი.

ხარვეზი არ გამოვლენილა, შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს, რომლის დასრულებისას სტუდენტს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0732). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 25 ივნისის №798925 ბრძანებით, ხორციელდება ქართულ ენაზე, ქ. რუსთავში (შარტავას გამზ. N4), იმიტირებულ სამუშაო გარემოში. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 58 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 73 კრედიტს. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში აღინიშნა, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს (2024 წლის ნაკადის დასაქმება შეადგენს 50%-ს, ხოლო თვითდასაქმება კიდევ უფრო მაღალია), დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 27 აპრილის თანხმობის წერილს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის შიდა წესით. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსს, არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს და სრულად პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის კვირეული დატვირთვის ლიმიტს (მაქსიმუმ 40 საათი).

განხორციელების რესურსების კუთხით, პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი A და C სასწავლო გარემოებით (ოთახი N112, 84.66 კვ.მ), სადაც განთავსებულია ყველა საჭირო თეორიული ინვენტარი და პრაქტიკული აღჭურვილობა. საჭიროების შემთხვევაში, 2 ზოგად და 2 პროფესიულ მოდულზე სასწავლო პროცესი შესაძლოა წარიმართოს დისტანციურად (Zoom, Microsoft Teams). პროგრამას ემსახურება 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა კვალიფიკაცია და პედაგოგიური კომპეტენციები დასტურდება დოკუმენტურად. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირებისთვის, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტი (რენტაბელობის ზღვარი 9 სტუდენტი) უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი ეფუძნება PDCA ციკლს, ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და უზრუნველყოფს ხარისხის პერიოდულ მონიტორინგს. სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება სასწავლო გეგმის დაცვით, უსაფრთხო გარემოში (ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები), პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შეფასების სისტემა მოიცავს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის გამართულ მექანიზმებს, უზრუნველყოფს მტკიცებულებების ელექტრონულ და მატერიალურ შენახვას 3 წლის ვადით (უწყისები ინახება უვადოდ e-Flow სისტემაში) და მიმართულია სტუდენტთა შემდგომ განვითარებაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება

ეს არის პროფესიული განათლების მესამე დონის პროგრამა, მისანიჭებელი საბაზო პროფესიული კვალიფიკაციით მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0716). პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 ივნისის №799586 ბრძანებით, ხორციელდება ქართულ ენაზე, ქ. რუსთავის მისამართზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 56 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვნებისთვის – 71 კრედიტი. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ექსპერტები დაეთანხმნენ.

პროგრამის დაგეგმვის შეფასებისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კოლეჯი აღნიშნული მიმართულებით პროგრამას 2020 წლიდან ახორციელებს, ხოლო 2024 წლის ნაკადის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 75%-ს შეადგენს. სამინისტროს 2026 წლის 27 აპრილის №MES482415 თანხმობის წერილი და შიდა კვლევები ადასტურებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასა და შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან. ჩარიცხვის წინაპირობაა საბაზო განათლება, პროცედურები გაწერილია შიდა რეგულაციებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია მეთოდოლოგიით, ხოლო პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას და არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია A და C სასწავლო გარემოები, სადაც განთავსებულია ძრავას ამოსაღები საშუალებები, კომპრესომეტრები, ორპორტიანი ამწეები და სადიაგნოსტიკო ტექნიკა. საჭიროების შემთხვევაში, 1 ზოგად და 5 პროფესიულ მოდულზე სწავლება შესაძლებელია დისტანციურ ფორმატში. პერსონალის შემადგენლობაშია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი და შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგობრივი

ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია საჭირო რესურსით, ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირებისთვის, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 8 სტუდენტს.

ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების სისტემის შეფასებისას დადასტურდა, რომ კოლეჯში მოქმედებს PDCA ციკლზე დაფუძნებული მექანიზმები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით (პირველადი დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი, პიქტოგრამები), სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების (მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების) გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და მოიცავს ვერიფიკაციის პროცედურებს, ხოლო მტკიცებულებები და უწყისები ინახება დადგენილი წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება

პროგრამა მიეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს და ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0716). იგი დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 ივნისის №799587 ბრძანებით. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ქ. რუსთავის მისამართზე. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის გამოყოფილია 54 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვნებისთვის – 69 კრედიტი. მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 ადგილს შეადგენს (2 ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ 2024 წლის მიღების ნაკადის სრულწლოვან კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს, რაც პროგრამის მაღალ საბაზრო მოთხოვნას ადასტურებს. არსებობს სამინისტროს 2026 წლის 27 აპრილის №MES482415 თანხმობა. დაშვების წინაპირობები (საბაზო განათლება), აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები, ზღვრული ოდენობის მეთოდოლოგია და პროგრამის კანონმდებლობასთან შესაბამისობა სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს. პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას აღინიშნა, რომ C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია სასწავლო ავტომობილი, ორპორტიანი ამწეები, ინსტრუმენტების ნაკრებები და ავტომობილის თვლების შეყრის კორექტირების აპარატი. საჭიროებისას, 1 ზოგად და 5 პროფესიულ მოდულზე სწავლება შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად. პროგრამას ახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი და კვალიფიციური ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკის რესურსები, სსსმ პირთა ადაპტირებული გარემო და საპროგნოზო ბიუჯეტი (რენტაბელობის ზღვარი 8 სტუდენტი) სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება ხორციელდება კოლეჯის შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის რეგულირების წესების შესაბამისად. უზრუნველყოფილია უსაფრთხო სამუშაო გარემო, დანერგილია ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერა, ხოლო შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმებს, სადაც მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა

პროგრამა წარმოადგენს პროფესიული განათლების მესამე დონეს და ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0716). იგი დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 ივნისის №799585 ბრძანებით, ხორციელდება ქართულ ენაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 50 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვნებისთვის – 65 კრედიტს. მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 30-ით (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

აღინიშნა, რომ კოლეჯი „მოდუსი“ არა მხოლოდ ქვემო ქართლში, არამედ მთელს საქართველოში წარმოადგენს ერთადერთ პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვის მიმართულებით ახორციელებს საკვალიფიკაციო პროგრამას. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას 2023 წლიდან ახორციელებს, ხოლო 2024 წლის ნაკადის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 60%-ს შეადგენს. მიღებულია სამინისტროს 2026 წლის 27 აპრილის №MES482415 თანხმობის წერილი. დაშვების წინაპირობები (საბაზო განათლება), შერჩევის წესები, ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია და პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს, არჩევითი მოდულების გარეშე.

პროგრამის განხორციელების რესურსების შემოწმებისას დადგინდა, რომ C სასწავლო გარემო აღჭურვილია სპეციალური საშრობი კამერით გამწოვი სისტემებით, კომპრესორით, ჰაერის მიწოდების წერტილებით, ავტომობილის ძარის დეტალებით (ფრთები, ბამპერები, კარებები) და შესაბამისი სამარჯვებით. საჭიროებისას, 2 ზოგად და 1 პროფესიულ მოდულზე სწავლება შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგობრივი ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკა, ადაპტირებული გარემო და საპროგნოზო ბიუჯეტი (რენტაბელობის ზღვარი 7 სტუდენტი) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის შეფასება, განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი PDCA ციკლისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, გათვალისწინებულია სსსმ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ხოლო შეფასების სისტემა მოიცავს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმებს, სადაც მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – ელექტრონულად და უვადოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა დამაზუსტებელი კითხვები ექსპერტთა დასკვნასა და წარმოდგენილ პრეზენტაციასთან დაკავშირებით. მან ყურადღება გაამახვილა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროგრამაზე და იკითხა, თუ რამდენ პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი სასწავლო სახელოსნო ერთდროულად და ხომ არ არსებობს ინდივიდუალური ინსტრუმენტების (მაგალითად, მაკრატლები, თარაზოები) ნაკლებობის რისკი, რაც პრაქტიკული მეცადინეობისას სტუდენტების რიგში დგომას გამოიწვევდა.

ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებული სასწავლო სივრცე საკმაოდ დიდია და აღჭურვილია მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მისი განცხადებით, ინვენტარის (მათ შორის სახრახნისების, მაკრატლების, თარაზოების, ხერხებისა

და სხვადასხვა ნაირსახეობის ბურღების) რაოდენობა იმდენად ჭარბია, რომ 15 სტუდენტის ნაცვლად 30 სტუდენტის ერთდროულ მოთხოვნილებასაც სრულად დააკმაყოფილებს. ამასთან, ექსპერტმა ხაზი გაუსვა შრომის უსაფრთხოების საკითხებს და აღნიშნა, რომ პრაქტიკული პროცესის ეფექტურად და უსაფრთხოდ მართვისთვის 15-კაციანი ჯგუფი პედაგოგმა უნდა დაყოს 3-4 ქვეჯგუფად. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ მიმართულებაზე გადაჭარბებული რაოდენობის ინსტრუმენტების ერთდროულად გამოყენებამ შესაძლოა შექმნას უსაფრთხოების რისკები (მათ შორის მატერიალური ზიანისა თუ ხანძრის გაჩენის საფრთხე), თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი და პედაგოგები არიან საკმარისად გამოცდილნი აღნიშნული პროცესის წარმართვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ასევე ითხოვა განმარტება სტუდენტთა მიღების რაოდენობასა და ცვლებს შორის არსებულ უზუსტობაზე. დასკვნაში მითითებული იყო 30 სტუდენტის მიღება ორ ცვლაში, თუმცა იქვე აღნიშნული იყო 15-15 სტუდენტის მიღება.

ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ კოლეჯის არსებული პრაქტიკით გათვალისწინებულია ერთ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. დასკვნის აღწერილობით ნაწილში 30 სტუდენტი ორ ცვლასთან მიმართებით მოხვდა ზღვრული რაოდენობის კვოტის გათვალისწინებით. აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს კოლეჯის წარმომადგენელმა და კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორმა, ნინო ქავთარაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ თითოეულ პროგრამაზე კოლეჯი გეგმავს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ არის მოგვარებული ვენტილაციისა და გამწოვი სისტემის საკითხი თაბაშირ-მუყაოს ჭრისა და მონტაჟისას წარმოქმნილი დიდი რაოდენობით მტვრის პირობებში.

ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ ასეთ დროს პრიორიტეტულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (რესპირატორები), რომელთა შესყიდვასაც კოლეჯი უზრუნველყოფს. გარდა ამისა, საერთო სასწავლო სივრცეში (რომელიც აერთიანებს ავტომობილებისა და თაბაშირ-მუყაოს მიმართულებებს) დამონტაჟებულია მძლავრი ცენტრალიზებული გამწოვი სისტემა. ექსპერტმა დაამატა, რომ ტოქსიკურ ნივთიერებებთან მუშაობის გამო განსაკუთრებით საშიშ სამღებრო ოთახში კოლეჯს გაკეთებული აქვს სპეციალური, სტანდარტების შესაბამისი ავტონომიური გამწოვი სისტემა. აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია წარადგინა კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორმა, ნინო ქავთარაძემ. მან აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციის დროს ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, კოლეჯმა დამატებით შეიძინა და დაამონტაჟა სპეციალური გამონაბოლქვის გამწოვი აპარატი, რომელიც უშუალოდ ავტომობილის მაყუჩზე უერთდება და გამონაბოლქვს გარეთ დევნის.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფორმატზე მსჯელობისას საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე დაინტერესდა, თუ რატომ ხორციელდება „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთების“ პროგრამების პრაქტიკული ნაწილი 100%-ით იმიტირებულ გარემოში, პარტნიორი ავტოსერვისების ჩართულობის გარეშე. თავმჯდომარემ დასვა კითხვა, ხომ არ შექმნის აღნიშნული გარემოება შრომის ბაზარზე სტუდენტთა კონკურენტუნარიანობისა და სწავლის შედეგების მიღწევის რისკებს, რადგან სტუდენტს არ ეძლევა რეალურ კლიენტთან და რეალურ ავარიულ შემთხვევებთან შეხების შესაძლებლობა. ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ მისი პროფესიული გამოცდილებით, კეთებითი სწავლებისას იმიტირებული სამუშაო გარემო ბევრად ეფექტურია სტუდენტის კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის, ვიდრე კოოპერაციული სწავლება. ექსპერტის თქმით, ავტოსერვისებში (გარდა მსხვილი კორპორაციული ობიექტებისა) არსებობს მავნე პრაქტიკა, სადაც ხელოსნები სტუდენტებს არ აძლევენ დეტალების

დამოუკიდებლად დაშლა-აწყობის უფლებას და მათ ძირითადად დამხმარე, ტექნიკურ სამუშაოებზე იყენებენ. იმიტირებულ გარემოში კი კოლეჯს გააჩნია 3 ავტომობილი და 6 ძრავა, სადაც თითოეულ სტუდენტს ეძლევა საშუალება თავისი ხელით სრულად დაშალოს და ააწყოს ნაწილები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის ადგილზე არსებული იმიტირებული გარემო საუკეთესო პირობას ქმნის. კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორმა, ნინო ქავთარაძემ დაამატა, რომ რეალური სამუშაო გარემოს გაცნობისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯის კარიერის მართვის სამსახურს ორგანიზებული აქვს სასწავლო ექსკურსიები პარტნიორ ავტოსერვისებში თვეში ერთხელ ან ორჯერ. გარდა ამისა, იმ აღჭურვილობის სანახავად, რაც ადრე კოლეჯს არ გააჩნდა (მაგალითად, თვლების შეყრის აპარატი), სტუდენტები დადიოდნენ პარტნიორ ორგანიზაციებში, ხოლო მიმდინარე წელს კოლეჯმა აღნიშნული აპარატიც თავად შეიძინა.

საკითხის განხილვაში ჩაერთო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თამარ კვინიკაძე. მან ექსპერტს ჰკითხა, თუ რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია ეროვნულ სტანდარტებში საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის დაბრუნება. ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ უპასუხა, რომ არსებული სტანდარტის პრაქტიკული მოდულები სრულად ფარავს საჭირო უნარებს, ხოლო საწარმოო პრაქტიკა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის გამოც იგი სავალდებულო საწარმოო პრაქტიკის საჭიროებას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ პრაქტიკული მოდულების დასრულების შემდეგ 50-საათიანი გაცნობითი პრაქტიკაც საკმარისი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ რეალურ პრაქტიკის ობიექტთან შეხება მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის, თუმცა დაეთანხმა მოსაზრებას, რომ იმიტირებული გარემო იძლევა უნარების უკეთ გამომუშავების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა დასვა კითხვა სასწავლო პროცესში შეცდომების დაშვებისა და მატერიალური ზიანის რისკებზე, კერძოდ, ხომ არ შეაფერხებს ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დეტალის გაფუჭება დანარჩენი სტუდენტების სწავლის პროცესს. ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ პრაქტიკული სწავლებისას შეცდომების დაშვება ბუნებრივი პროცესია. დაწესებულება წინასწარ ითვალისწინებს ამ რისკებს და შესასყიდი მასალების ჩამონათვალში შეაქვს ისეთი სათადარიგო ნაწილები და კომპონენტები (მაგალითად, ელექტრული მცველები), რომლებიც მოკლე ჩართვის ან არასწორი ექსპლუატაციის დროს შესაძლოა დაზიანდეს.

შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესზე მსჯელობისას, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის შიდა პერსონალი – 4 მასწავლებელი. თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ შიდა პერსონალის მიერ ერთმანეთის ინსტრუმენტების შემოწმება ქმნის ჩაკეტილ სისტემას და გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად უკეთესი ხომ არ იქნებოდა პროცესში გარე ექსპერტის ან სხვა კოლეჯის დარგობრივი სპეციალისტის ჩართვა. ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ და კოლეჯის დირექტორმა, ნინო ქავთარაძემ დაადასტურეს, რომ დარგობრივი სპეციალისტის მოძიება ჭირს, თუმცა აღნიშნული რჩევა არის ძალიან ღირებული. საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა არასავალდებულო რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში ჩართოს გარე დარგობრივი ექსპერტი ან დამსაქმებელი.

დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარის კითხვის საპასუხოდ ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ ელექტრონული კომპონენტი დაშვებულია მხოლოდ 5 თეორიულ მოდულზე. კოლეჯის განმარტებით, აღნიშნული ფორმატი

გამოყენებული იქნება მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში და ამ ეტაპზე დისტანციური სწავლების განხორციელება არ იგეგმება.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისას, საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რა კონკრეტული ცვლილებები აისახა 2026 წელს დამტკიცებულ პროგრამებში ძველი, მილევადი პროგრამების გამოკითხვის შედეგად. ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ განმარტა, რომ ძველი სტანდარტის ანალიზის საფუძველზე ახალ პროგრამებში გაიზარდა კრედიტების რაოდენობა (მაგალითად, „ავტომობილის მოწყობილობა“ 9 კრედიტიდან გაიზარდა 12 კრედიტამდე), გაერთიანდა მცირე შინაარსის მოდულები და შემცირდა ჭარბი ზოგადი მოდულების წილი პრაქტიკული მოდულების სასარგებლოდ, რამაც სტუდენტთა გადინების რისკი შეამცირა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიუთითა დასკვნაში არსებულ ტექნიკურ უზუსტობებზე. კერძოდ, ინდიკატორ 2.2.1-ში მითითებული იყო 15 მასწავლებელი, ხოლო ჩამონათვალში 14, ასევე ფიგურირებდა სხვაობა დარგობრივ (4) და ჯამურ პროფესიულ (8) მასწავლებელთა რაოდენობებს შორის. ექსპერტმა დაადასტურა, რომ 4 პედაგოგი უშუალოდ პრაქტიკულ დარგობრივ მოდულებს ასწავლის, ხოლო დანარჩენ 4-ს მიჰყავს მომიჯნავე დარგობრივი მოდულები (მაგალითად, შრომის უსაფრთხოება და სამეწარმეო საქმიანობა). გარდა ამისა, ინდიკატორ 2.1.1.2-ში სტუდენტთა ჩარიცხვის წესთან მიმართებით ნახსენები იყო ორი სხვადასხვა (2024 და 2025 წლების) ბრძანება. ექსპერტმა განმარტა, რომ შეფასება განხორციელდა ბოლო მოქმედი დოკუმენტის საფუძველზე. თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, აღნიშნული ტექნიკური უზუსტობები გასწორდეს ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი "მოდუსისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი "მოდუსს” (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა“ **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 ივლისი.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გიორგი ვეკუა

მეორე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ბუთხუზი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მაისის N599480 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 2026 წლის 8 ივნისს (მის.: ქ. გორი, ცხინვალის N9). ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 8 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში (მის.: ქ. გორი, ცხინვალის N9). ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს,

პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. დაათვალიერეს და შეისწავლეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს, რომლის დასრულებისას გაიცემა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0712). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 მაისის №00007966 ბრძანებით, ხორციელდება ქართულ ენაზე, ქალაქ გორში, ცხინვალის N9-ში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში – კოოპერაციული სწავლების ფორმით. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 150 კრედიტს. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 სტუდენტით (წელიწადში 20 სტუდენტი 2 წლის განმავლობაში), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში აღინიშნა, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრისა და რეგიონული საჭიროებების სიღრმისეულ ანალიზს, 2019 წლიდან მოქმედ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს და სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. კვლევებმა აჩვენა ადგილობრივ დონეზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ხოლო პარტნიორი ორგანიზაციები გამოხატავენ მზაობას კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა ჩარიცხვისა და შერჩევის პროცედურები გამჭვირვალედ და სამართლიანად რეგულირდება კოლეჯის შიდა დებულებებით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდა კოლეჯში მოქმედი სპეციალური მეთოდოლოგიით. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად (11 კრედიტი) და 21 პროფესიულ მოდულს (109 კრედიტი), არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და მისი სახელწოდება თუ სტრუქტურა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, მათ შორის კვირეული დატვირთვის ლიმიტს (მაქსიმუმ 40 საათი).

პროგრამის განხორციელების რესურსების კუთხით, კოლეჯს მოწყობილი აქვს A სალექციო აუდიტორიები, B კომპიუტერული კლასი და C სიმულაციური გარემო, ასევე უზრუნველყოფილია დისტანციური სწავლების შესაძლებლობა (Zoom, Teams, Google Classroom) შესაბამისი მარეგულირებელი წესის დაცვით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები 7 პარტნიორ კომპანიასთან (მათ შორის, შპს „მეცნიერებათა სკოლა“, შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“, შპს „რეგიონული ჯანმრთელობის ცენტრი“ და სხვა). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 36 პირი (8 ზოგადი მოდულის მასწავლებელი, 22 დარგობრივი მასწავლებელი და 6 ინსტრუქტორი), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საბიბლიოთეკო ფონდი უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსებით (OpenBiblio სისტემა, საბიბლიოთეკო ასოციაციის ბაზები). სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირებისთვის, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტი (რენტაბელობის ზღვარი 16 სტუდენტი) უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ეყრდნობა დემინგის PDCA ციკლს („დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე“), სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს, სტუდენტთა, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და მიღებული შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის დაცვით, სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პრაქტიკისა და თეორიული სწავლებისას უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო (შენობის კონსტრუქციული მდგრადობა, სახანძრო სისტემები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მეთვალყურეობა). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. იგი მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები და მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მეორე სტანდარტის ყველა კომპონენტთან და ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ეკა ბუთხუზს. კითხვა ეხებოდა კოლეჯის მიერ დისტანციური სწავლების ფორმატის გამოყენების შესაძლებლობას, შესაბამისი რეგულაციის არსებობას, მის რელევანტურობასა და დისტანციურ პირობებში სტუდენტთა შეფასების მექანიზმებს. ავტორიზაციის ექსპერტმა, ეკა ბუთხუზმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური დოკუმენტი - „საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული აღნიშნული პროგრამის სწავლების შესაძლებლობა პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა 2026 წლის 19 თებერვალს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს გააჩნია ყველა საჭირო რესურსი სწავლების ადგილზე, მატერიალურ ფორმატში წარმართვისთვის, დისტანციური სწავლების შესაძლებლობაც დარეგულირებულია. შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა მოდულის სწავლის შედეგის საბოლოო დადასტურება და შეფასება მოხდება უშუალოდ ადგილზე, დაწესებულებაში. ელექტრონული სწავლების პლატფორმებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს ჩამოთვლილი აქვს სამი სხვადასხვა პლატფორმა. თუმცა, კონკრეტულად რომელ პლატფორმას მიენიჭება უპირატესობა, საბოლოო გადაწყვეტილება დამატებითი აქტივობების შემდეგ მიიღება. პერსონალის მზაობის ნაწილში გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებს აქვთ დისტანციური სწავლების გამოცდილება, ჩატარებული აქვთ შესაბამისი ტრენინგი და კოლეჯი უზრუნველყოფს მხარდაჭერის მექანიზმებს იმ სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის, რომელთაც შესაძლოა შეექმნათ ტექნიკური შეფერხებები. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ დარგობრივი სასწავლო რესურსების უმრავლესობა წარმოდგენილია ელექტრონული სახით, რაც მოსახერხებელია სასწავლო პროცესის მონაწილეთათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დასვა კითხვა პრაქტიკის ობიექტების გადანაწილებასა და ხარისხის მონიტორინგზე. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დასახელებულია 7 სხვადასხვა პროფილის პრაქტიკის ობიექტი და დაინტერესდა, ხომ არ გაართულებს წელიწადში 20 სტუდენტის ასეთ მრავალრიცხოვან ობიექტებზე გაფანტვა ხარისხის ერთგვაროვან მონიტორინგს. დარგის ექსპერტმა, თეა ნარეკლიშვილმა განმარტა, რომ წელიწადში გათვალისწინებულია სულ 20 სტუდენტის მიღება. პრაქტიკის განმახორციელებლებთან

გასაუბრებისას გადაწყდა სტუდენტების 5-კაციან ჯგუფებად დაყოფა და სხვადასხვა ობიექტზე გადანაწილება, საიდანაც 4 ობიექტი სამშენებლო სეგმენტს მიეკუთვნება. ექსპერტის შეფასებით, სტუდენტთა მიერ სხვადასხვა (მათ შორის სამშენებლო და სამედიცინო) სექტორში პრაქტიკის გავლით უკეთესად მიიღწევა სწავლის შედეგები, რადგან ისინი გაეცნობიან სხვადასხვა სფეროში არსებულ შრომის უსაფრთხოების რისკებს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ როტაციის პრინციპით ყველა სტუდენტი მოხვდება ყველა ტიპის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტების გადანაწილების საკითხზე დამატებითი განმარტება გააკეთა კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა, ნინო დვალმა. მან აღნიშნა, რომ ობიექტები შერჩეულია მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის ორგანიზაციების მიხედვით, რათა სტუდენტმა სამივე მიმართულებით გაიაროს პრაქტიკა. ყოველ ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 20-კაციან გამტარიანობაზე, ხოლო სასწავლო პროცესი და ცხრილები დარეგულირებულია ჯგუფების როტაციული პრინციპით წარმართვისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ იკითხა, თუ რა კონკრეტული მტკიცებულებებით დადასტურდა იმ ხუთი პრაქტიკის ობიექტის მზაობა, რომლებიც ექსპერტებს ადგილზე არ დაუთვალიერებიათ (შვიდიდან მხოლოდ ორი დათვალიერდა ადგილზე). დარგის ექსპერტმა, თეა ნარეკლიშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული დადასტურდა გაფორმებული ხელშეკრულებებით, დოკუმენტაციითა და ონლაინ გასაუბრებით. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ დოკუმენტებზე დაყრდნობა ატარებს გარკვეულ ფორმალურ ხასიათს და უკეთესი იქნებოდა ყველა ობიექტთან უშუალო გასაუბრება.

შემდეგი საკითხი, რომელიც საბჭოს თავმჯდომარემ წამოჭრა, ეხებოდა კოლეჯის ფინანსურ მდგრადობასა და პროგრამის რენტაბელობის ზღვარს. ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილია 16 სტუდენტზე. ვინაიდან დაფინანსება ვაუჩერულია და დამოკიდებულია აქტიური სტუდენტების რაოდენობაზე, თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ფინანსური ბუფერი გააჩნია კოლეჯს სტუდენტთა დენადობის შემთხვევაში, როდესაც ფიქსირებული ხარჯები უცვლელი რჩება. კოლეჯის იურისტმა, ივანე ბალახაშვილმა განმარტა, რომ რენტაბელობის ზღვარი ნამდვილად 16 სტუდენტია. ფინანსური რისკების გადაზღვევის მექანიზმად კოლეჯს გაფორმებული აქვს შენობის ნაწილის ქვეიჯარით გაცემის ხელშეკრულება, საიდანაც იღებს დამატებით სტაბილურ შემოსავალს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას სტუდენტთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაშიც.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ დააზუსტა, გამოიწვია თუ არა როტაციულმა სისტემამ და პრაქტიკის ობიექტების სიმრავლემ ფინანსური ხარჯების ზრდა და აისახა თუ არა ეს რენტაბელობის ზღვრის 16 სტუდენტამდე გაზრდაში. კოლეჯის წარმომადგენელმა, ნინო დვალმა განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტების უმრავლესობა სტუდენტებს იღებს უსასყიდლოდ (რადგან თავად საჭიროებენ კადრებს), ხოლო კოლეჯი აანაზღაურებს მხოლოდ ინსტრუქტორთა შრომას, რაც წინასწარ არის გათვლილი ბიუჯეტში. მან ასევე მაგალითად მოიყვანა ვეტერინარიის პროგრამაზე როტაციული სწავლების წარმატებული გამოცდილება.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა დასვა კითხვა შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. კერძოდ, ხომ არ გამოიწვევს პრაქტიკის ობიექტების სიმრავლე და კომპანიების განსხვავებული თავისებურებები აცდენას სტუდენტის საბოლოო შეფასებასა და ცოდნის დადასტურებაში. დარგის ექსპერტმა, თეა ნარეკლიშვილმა განმარტა, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ძირითადი ამოცანაა საფრთხის იდენტიფიცირება და რისკის მატრიცის დადგენა. მეთოდოლოგია ერთგვაროვანია, ხოლო სხვადასხვა რისკის ობიექტზე დაკვირვება სტუდენტს აძლევს უფრო ფართო გამოცდილებას.

აღნიშნულ საკითხზე დამატებითი განმარტება გააკეთა კოლეჯ „ამაგის“ შრომის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელმა, ვალერი ახობაძემ. მან აღნიშნა, რომ ყველა

ობიექტზე დანიშნულნი არიან კვალიფიციური ინსტრუქტორები. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რისკების შეფასების რეგლამენტი და მეთოდიკა არის ერთი და იგივე ყველა სექტორისთვის (დაბალი, საშუალო თუ მაღალი რისკის), მიუხედავად იმისა, საფრთხე სიმაღლიდან ვარდნას ეხება თუ ქიმიურ ნივთიერებებს. კოლეჯის წარმომადგენელმა, ნინო დვალმა დასძინა, რომ შეფასებისთვის გამოიყენება სპეციალური საკონტროლო ფურცელი (ჩექლისტი), რომელიც მოიცავს ყველა რისკის კომპონენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დამატების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 ივლისი.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯი ,,ლაკადასთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „შედუღება“, „სადურგლო საქმე“, „კულინარია“, „მეხილეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 02 ივნისის 660276 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: ირმა მეგრელიძე (თავმჯდომარე), თეკლე ცუცქირიძე (წევრი), მამუკა ხოშტარია (დარგის ექსპერტი – „სადურგლო საქმე“), ირმა ღარიბაშვილი (დარგის ექსპერტი – „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „შედუღება“), თემურ საღინაძე (დარგის ექსპერტი – „კულინარია“) და თამარ ზარანდია (დარგის ექსპერტი – „მეხილეობა“), დაევალა სსიპ კოლეჯ „ლაკადასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – „კულინარია“, „მეხილეობა“, „სადურგლო საქმე“, „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ და „შედუღება“ – დამატების საკითხის შესწავლა და დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, წინა ვიზიტის დასკვნა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება. 2026 წლის 13 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, სადაც შემუშავდა დღის წესრიგი, განაწილდა ფუნქციები და მომზადდა ინტერვიუების კითხვარი. 2026 წლის 16, 17 და 18 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ლაკადა“ მისამართებზე: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 და წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალე, ფოცხოეწერის დასახლება. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით და საქმიან გარემოში. ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა ინფრასტრუქტურა, C ტიპის ლაბორატორიები და სახელოსნოები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, უსაფრთხოების მექანიზმები და სასწავლო პროცესის ორგანიზება. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინა პრეზენტაცია იდენტიფიცირებული მიგნებებისა და შეჯერებული შედეგების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია

პროგრამის სახელწოდებაა „კულინარია“, პროფესიული განათლები დონეა IV, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1013). პროგრამა დამტკიცებულია 13.03.2026 წლის ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. განხორციელების მისამართია წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2. სწავლების ფორმაა იმიტირებული სამუშაო გარემო. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (აქედან 15 ადგილი ინტეგრირებულ

სასწავლო გეგმაზე). კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულ გეგმაზე არის 90, ხოლო ინტეგრირებულზე – 118; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულზე – 120, ინტეგრირებულზე – 148.

პროგრამის დამატების გადაწყვეტილება შეესაბამება კოლეჯის მისიას და 7-წლიან სტრატეგიულ გეგმას. დაშვების წინაპირობები (სრული ზოგადი განათლება ან საბაზო განათლება ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში) გამჭვირვალეა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30) განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით, სასწავლო სივრცეების გამტარუნარიანობისა და პერსონალის დატვირთვის გათვალისწინებით. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და 22 პროფესიული მასწავლებელი (4 ზოგად, 8 პროფესიულ და 10 ინტეგრირებულ მოდულებზე), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. სასწავლო და ბიბლიოთეკის რესურსები (OpenBiblio) ხელმისაწვდომია მატერიალური და ელექტრონული სახით, ხოლო ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირებისთვის. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია საპროგნოზო ბიუჯეტით (რენტაბელობის ზღვარი: 5 სტუდენტი). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შრომის ბაზრის კვლევასა და უკუკავშირს. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამედროვე მეთოდებს, უსაფრთხო გარემოსა და სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს, ხოლო შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს და მონაცემთა 3 წლით შენახვას.

ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ პროგრამაზე ხარვეზი არ გამოვლენილა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია, წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენას – პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.6 – დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 – დაკმაყოფილებულია „კულინარიის“ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. თუმცა დარგის ექსპერტის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია კოლეჯმა აიყვანოს საერთაშორისო სამზარეულოში, ე.წ. ბრენდული კვების ობიექტში მუშაობის გამოცდილების მქონე დარგი, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, რომ მეტად დახვეწოს სასწავლო გარემო და შექმნას საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული ხარისხი.

ინდიკატორი 2.4.1.1 – დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, თუმცა გაიცა განმავითარებელი შეფასება, რომ სასწავლო გეგმაში გამოსწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მეხილეობა

პროგრამის სახელწოდებაა „მეხილეობა“, პროფესიული განათლების დონე არის IV, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0811). პროგრამა დამტკიცებულია 31.03.2026 წლის N04/19 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. განხორციელების მისამართია წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2. სწავლების ფორმაა რეალურ სამუშაო გარემოში (კოოპერაციული). მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 86, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 116 (არაინტეგრირებული გეგმა არ მოითხოვება).

პროგრამის დამატება ეფუძნება კოლეჯის მრავალწლიან გამოცდილებასა და რეგიონულ საჭიროებებს. დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30) შეესაბამება მეთოდოლოგიას. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში: შპს „აგრო აგორა“, შპს „აგრო ლია“, ფ/პ კობა შონია და შპს „ლეგი“. პროგრამას უძღვება 14 პროფესიული მასწავლებელი (11 ზოგად და 3 პროფესიულ მოდულებზე). სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში. ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა წვდომას. ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის მდგრადობას (რენტაბელობის ზღვარი: 5 სტუდენტი). სასწავლო პროცესში დაცულია შრომის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (პესტიციდებთან მუშაობა, დაბალი ტემპერატურის მაცივრები). შეფასების სისტემა მოიცავს ვალიდურობას, ვერიფიკაციასა და შედეგების 3 წლით შენახვას.

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:

ინდიკატორი 2.1.1.6 – დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სადურგლო საქმე

პროგრამის სახელწოდებაა „სადურგლო საქმე“, პროფესიული განათლების დონეა მე-4, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სადურგლო საქმეში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0732). პროგრამა დამტკიცებულია 31.03.2026 წლის N04/19 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. განხორციელების მისამართებია: 1. ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2; 2. სოფელი ჭალე, ფოცხოეწერის დასახლება (სახელოსნო). სწავლების ფორმაა იმიტირებული სამუშაო გარემო. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 79, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 109.

პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიას. დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30) დადგენილია მეთოდოლოგიით. C სასწავლო გარემო მდებარეობს ფოცხოეწერის დასახლებაში (190.61 კვ.მ შენობა), სადაც წარმოდგენილია ყველა საჭირო ჩარხი და დანადგარი. სტუდენტთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კოლეჯი (გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ჯი-თი-მოტორსთან“). პროგრამას ახორციელებს 24

მასწავლებელი (6 ზოგად და 4 პროფესიულ მოდულებზე). ბიუჯეტი უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას (რენტაბელობის ზღვარი: 8 სტუდენტი). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში. შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციასა და მონაცემთა ჯეროვან აღრიცხვას.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების განაცხადში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტი არ არის აღწერილი და შეფასებული, ვინაიდან თვითშეფასება მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოებისთვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად და არ მოიცავს იმ კომპონენტების შეფასებას, რომელთა შემოწმების საჭიროებაც წარმოიშვა ახალი სასწავლო სივრცეების დამატების გამო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის **ჭალეს თემის ფოცხო-ეწერის დასახლებაში.** ვიზიტის პროცესში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი:

ინდიკატორი 5.1.1.5 – ხარვეზია, – მოქმედ უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატს ვადა აქვს გასული.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.2.1 – მეტწილ შესაბამისობაშია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ აღნიშნულ ფართში არაა დაცული უსაფრთხოების ზომები, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

ინდიკატორი 5.1.2.3 – მეტწილ შესაბამისობაშია, „სადურგლო საქმის“ სახელოსნოსთვის საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა არაა განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.6 – დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

ინდიკატორი 2.4.1.1 – სასწავლო გეგმაში გამოსწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

ინდიკატორი 2.4.1.6 – თითოეული ჩარხისთვის ხელმისაწვდომია უსაფრთხოების წესები. ამასთან, უსაფრთხოების ინფორმაციის უკეთ აღქმისა და ხილვადობის უზრუნველსაყოფად, სასურველია შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნები უფრო თვალსაჩინო ფორმატში განთავსდეს შესაბამის ჩარხთან ახლოს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სამშენებლო სამღებრო სამუშაოები

პროგრამის სახელწოდებაა „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, პროფესიული განათლების დონეა მე-4 დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0732). პროგრამა დამტკიცებულია 31.03.2026 წლის N04/19 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. განხორციელების მისამართია წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2. სწავლების ფორმაა იმიტირებული სამუშაო გარემო. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (15 ინტეგრირებულ გეგმაზე). კრედიტების რაოდენობა

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულზე არის 85, ინტეგრირებულზე – 113; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულზე – 115, ინტეგრირებულზე – 143.

პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევებსა და კოლეჯის გამოცდილებას. დაშვების წინაპირობები მკაფიოა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30) განსაზღვრულია მეთოდოლოგიით. სასწავლო გარემო (A და C) აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია AC გარემო. პროგრამას ახორციელებს 16 მასწავლებელი (3 პროფესიულ და 10 ინტეგრირებულ მოდულებზე), რომელთა დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობას. ბიუჯეტი დაბალანსებულია (რენტაბელობის ზღვარი: 5 სტუდენტი). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც განთავსებულია პირველადი სამედიცინო კაბინეტი და სახანძრო სტენდები. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ითვალისწინებს ვერიფიკაციას.
ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 2.1.1.6 – დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – შედუღება
პროგრამის სახელწოდებაა „შედუღება“, პროფესიული განათლების დონეა მე-4, მისანიჭებელი კვალიფიკაცია – საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0715). პროგრამა დამტკიცებულია 31.03.2026 წლის N04/19 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული. განხორციელების მისამართია წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2. სწავლების ფორმაა იმიტირებული სამუშაო გარემო. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (15 ინტეგრირებულ გეგმაზე). კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულზე არის 87, ინტეგრირებულზე – 113; არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებულზე – 117, ინტეგრირებულზე – 143.

პროგრამის დამატება ეფუძნება რეგიონში კვალიფიციურ შემდუღებლებზე არსებულ მაღალ მოთხოვნას. დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება ეროვნულ ჩარჩოს. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30) განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით. სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია A და C (შედუღების ლაბორატორია) გარემოები. პერსონალის კვალიფიკაცია და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტი ადეკვატურია. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების სისტემა მოქმედებს გამართულად.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების განაცხადში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტი არ არის აღწერილი და შეფასებული, ვინაიდან თვითშეფასება მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ადმინისტრაციული წარმოებისთვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად და არ მოიცავს იმ კომპონენტების შეფასებას, რომელთა შემოწმების საჭიროებაც წარმოიშვა ახალი სასწავლო

სივრცეების დამატების გამო კოლეჯის ძირითად მისამართზე. ვიზიტის პროცესში, დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი:

ინდიკატორი 5.1.1.5 – ხარვეზია – მოქმედ უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატს გასული აქვს ვადა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 5.1.2.3 – მეტწილ შესაბამისობაშია, სახელოსნოსთვის საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა არაა განსაზღვრული „შედუღების“ სასწავლო ლაბორატორიის შენობაში შესაბამისი დოკუმენტით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;
ინდიკატორი 2.2.1.1 – მეტწილად დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 2.1.1.6 – დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია. პროცესის დოკუმენტური გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყებამდე სამუშაო ჯგუფის შექმნა ფორმალიზდეს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასკვნაში ასახულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ კულინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯისთვის სასურველია საერთაშორისო სამზარეულოში, კერძოდ ბრენდირებულ კვების ობიექტში მუშაობის გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტის მოწვევა, რაც დაწესებულებას მისცემს საშუალებას, უფრო მეტად დახვეწოს სასწავლო გარემო და შექმნას საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული ხარისხი, გამოთქვა მოსაზრება, რომ პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის (სსიპ) საერთაშორისო ბრენდის წარმომადგენლის მოწვევა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ფინანსურ სირთულეებთან, ვინაიდან პროგრამა ვაუჩერულად ფინანსდება და მოწვეული მასწავლებლის ანაზღაურების არსებული ტარიფები შესაძლოა არ იყოს საკმარისი ასეთი კვალიფიკაციის კადრის მოსაზიდად.

საკითხის განხილვაში ჩაერთო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თამარ კვინიკაძე. მან აღნიშნა, რომ სამინისტრო სრულად უჭერს მხარს კოლეჯების ინიციატივებს დარგის წამყვანი პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევასთან დაკავშირებით. დეპარტამენტის უფროსმა განმარტა, რომ უნარების სააგენტოს ლიკვიდაციის შემდეგ მთელი რიგი ფუნქციები გადმოვიდა სამინისტროს დეპარტამენტში, მათ შორის პედაგოგთა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტების ორგანიზება. მან საბჭოს აცნობა, რომ კომისიური წესით უკვე შერჩეულნი არიან მასწავლებლები სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის, კულინარიაში), რომლებიც

გაემგზავრებიან მსოფლიოს წამყვან კოლეჯებში, მიიღებენ საერთაშორისო გამოცდილებას და დაბრუნების შემდეგ გახდებიან „მასტერ-ტრენერები“. ისინი წლის განმავლობაში ვორქშოფების, მასტერკლასებისა და პრაქტიკული შეხვედრების მეშვეობით მიღებულ ცოდნას გაუზიარებენ კოლეგებს სხვადასხვა კოლეჯში, რასაც უზრუნველყოფს სამინისტროს დეპარტამენტი. ანაზღაურების ნაწილში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, თამარ კვინიკაძემ განმარტა, რომ აუცილებელი არ არის ჩანაწერში კონკრეტული ბრენდის მითითება. მან მაგალითად მოიყვანა „შეფთა ასოციაცია“, რომელიც მსოფლიო შეფთა ასოციაციის წევრია და სადაც გაწევრიანებულნი არიან ქართველი პროფესიული მასწავლებლები. მისი წინადადებით, რეკომენდაციაში ტერმინი „ბრენდი“ შესაძლებელია განზოგადდეს „საერთაშორისო სტანდარტად“ ან მიეთითოს პროფესიულ ასოციაციასთან თანამშრომლობა, რაც საჯარო კოლეჯისთვის უფრო რეალისტურს გახდის რეკომენდაციის შესრულებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ დაადასტურა, რომ კოლეჯ „ლაკადას“ მასწავლებლები ფლობენ მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციასა და ქართული სამზარეულოს ბრწყინვალე ცოდნას, ხოლო ექსპერტის მხრიდან აქცენტი გაკეთდა უშუალოდ საერთაშორისო სამზარეულოს მიმართულებით გამოცდილების გაძლიერებაზე, რაშიც სამინისტროს მიერ დაგეგმილი მხარდაჭერის პროგრამები მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. დეპარტამენტის უფროსმა, თამარ კვინიკაძემ დამატებით აცნობა საბჭოს პროფესიული განათლების პედაგოგთა საერთაშორისო კვალიფიკაციის ამაღლების მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ. კერძოდ, აღნიშნა მოდის ტექნოლოგიის მასწავლებლების ერთთვიანი სასწავლო ვიზიტი მილანის ბურგოს ინსტიტუტში, საიდანაც ისინი საერთაშორისო სერტიფიკატებითა და სასწავლო ლიტერატურით ბრუნდებიან. ასევე, აგვისტოს ბოლოს იგეგმება ჯგუფის ვიზიტი შვეიცარიაში ფერმერობისა და რძის გადამუშავების (ყველის წარმოების) საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესასწავლად და საპილოტედ დანერგვისთვის. გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ციკლი მოიცავს კონდიტერიის, ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული მმართველობის მიმართულებებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა სამინისტროს წარმომადგენელს მოწოდებული ინფორმაციისთვის და დადებითად შეაფასა პედაგოგთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი საერთაშორისო ინიციატივები.

ელენე კაკაბაძემ ყურადღება გაამახვილა „სამშენებლო-სამღებრო სამუშაოების“ პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე (ინდიკატორი 2.2.1.7). მან აღნიშნა, რომ საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლის ნაწილში მითითებული იყო 58,804 ლარი (ვაუჩერული დაფინანსება), ხოლო ჯამური ხარჯის სახით — 86,666 ლარი. თავმჯდომარემ იკითხა, იფარება თუ არა აღნიშნული სხვაობა კოლეჯის საერთო ინსტიტუციური ბიუჯეტიდან და ხომ არ შეიქმნება საფრთხე პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. კოლეჯის წარმომადგენელმა, თეანა ქუხილავამ განმარტა, რომ ბიუჯეტის განსაზღვრისას ითვალისწინებენ როგორც ვაუჩერულ, ისე პროგრამულ დაფინანსებას. მან დაადასტურა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაპარული იყო ტექნიკური უზუსტობა, რეალურად ასეთი დისბალანსი არ არსებობს და პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ექმნება, ხოლო მონაცემები დაზუსტდება.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ექსპერტთა ვიზიტისას ადგილზე ყველა აღჭურვილობა დახვდათ თუ ოქტომბრამდე იყო დარჩენილი შესყიდვები, ვინაიდან დასკვნაში 2026 წლის 25 ოქტომბერი ფიგურირებდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ განმარტა, რომ ვიზიტისას პრაქტიკულად ყველა ძირითადი ინვენტარი ადგილზე დახვდათ. კოლეჯის წარმომადგენელმა, თეანა ქუხილავამ დაამატა, რომ სამინისტროს მხარდაჭერით განსაზღვრული თანამედროვე

აღჭურვილობა, რაც პროგრამის განვითარებისთვის იყო განკუთვნილი, ასახული იყო შესაბამისობის გეგმაში, ხოლო სავალდებულო საბაზისო აღჭურვილობა კოლეჯს ვიზიტამდე უკვე გამარტივებული შესყიდვით შეძენილი ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნეს, რომ სხდომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კოლეჯისგან შემოვიდა დამატებითი დოკუმენტაცია. კოლეჯის წარმომადგენელმა, თეანა ქუხილავამ განმარტა, რომ 2026 წლის 27 ივლისს მიიღეს დადებითი პასუხი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, რაც ოპერატიულად გადააგზავნეს. ხოლო ფოცხო-ეწერის დასახლებაში სადურგლო საქმიანობისთვის წყლის რეზერვუარის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა ხარჯთაღრიცხვის კორექტირების საჭიროების გამო.

სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, თამარ კვინიკაძემ დაადასტურა, რომ ფასების ცვლილების გამო ბევრი კოლეჯი მიმართავს სამინისტროს დაფინანსების კორექტირებაზე. მან აღნიშნა, რომ სამინისტრო მზად არის დაჩქარებული წესით დაამტკიცოს განახლებული ხარჯთაღრიცხვა ან გამოიყენოს ვაუჩერიდან დარჩენილი ნაშთი, რათა განსაკუთრებით სახანძრო უსაფრთხოების ნორმები სრულად იყოს დაცული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ დააზუსტა, რომ კოლეჯს ფოცხო-ეწერის დასახლებაში ხარვეზი დარჩა ორ კომპონენტში (სახანძრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საიდანაც საგანგებო გეგმა უკვე წარმოდგენილ იქნა), ხოლო „ლაკადას“ ძირითად მისამართზე ყველა დოკუმენტაცია წესრიგშია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიუთითა დასკვნაში არსებულ ტექნიკურ აცდენებზე. კერძოდ, 2.4.1.3 ინდიკატორის შეფასებისას სამშენებლო-სამღებრო და სადურგლო საქმის პროგრამებზე მითითებული იყო ფრაზა „სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები“, რაც მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა და დაევალა ექსპერტებს მისი გასწორება. ასევე დაზუსტდა სასწავლო ფართის გამტარუნარიანობა 30 სტუდენტზე, სადაც განმარტეს, რომ 15 სამუშაო ადგილი გადანაწილდება ორ ცვლაზე (საიდანაც 15 სტუდენტი იქნება ინტეგრირებული, ხოლო 15 არაინტეგრირებული).

„შედუღების“ პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შრომის ბაზრის კვლევის რეგიონული სპეციფიკით ჯვარსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ და კოლეჯის წარმომადგენელმა თეანა ქუხილავამ განმარტეს, რომ ზოგად ეკონომიკურ კვლევებთან ერთად არსებობდა ადგილობრივ დამსაქმებელთა პირდაპირი მომართვიანობა. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ენგურჰესის სტრატეგიულ ობიექტს, სადაც მუდმივად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და არსებობს შემდუღებლების მზარდი მოთხოვნა, რის გამოც კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება.

პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესზე (ინდიკატორი 2.3.1.2) ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით „მეხილეობის“ კოოპერაციულ პროგრამაში აქტიურად იქნა გათვალისწინებული პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციები მოდულების თანმიმდევრობასა და სასწავლო მასალებში.

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შეფასებისას, სადაც აღნიშნული იყო დასაქმებული სტუდენტებისთვის მოქნილი გრაფიკის მოქმედება, საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ აზარალებს ინდივიდუალური გრაფიკი შედუღების პრაქტიკული უნარების ათვისებას. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ეხებოდა მოქმედ შემდუღებლებს, რომელთაც სურდათ კვალიფიკაციის დადასტურება და ფორმალური განათლების აღიარება.

აღნიშნულზე პოზიცია დააფიქსირა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსმა, თამარ კვინიკაძემ. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებული პროგრამებისთვის დასწრების მოქნილი გრაფიკის დანერგვა დაუშვებელია. მან მოუწოდა კოლეჯს, დასაქმებული პირებისთვის გამოიყენონ არაფორმალური განათლების აღიარების ან მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების მექანიზმები და განაცხადა, რომ სამინისტრო მომავალი წლიდან მკაცრად გააკონტროლებს სტუდენტთა და პედაგოგთა დასწრებას.

შეფასებისა და ვერაფიკაციის სისტემის განხილვისას ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ დაადასტურა, რომ შესწავლილ იქნა სტუდენტთა პორტფოლიოები და ვალიდაცია-ვერაფიკაციის პროცესი, სადაც ჩართულნი იყვნენ როგორც შიდა, ისე მოწვეული პედაგოგები. ბიბლიოთეკის რესურსებთან დაკავშირებით ექსპერტმა დაადასტურა, რომ მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ადგილზე და ელექტრონულად წარმოდგენილია შედუღებისა და სადურგლო საქმის თანამედროვე ქართულენოვანი დარგობრივი სახელმძღვანელოები.

საბჭომ იმსჯელა 5.1.1.5 ინდიკატორთან დაკავშირებით („შედუღებისა“ და „სადურგლო საქმის“ პროგრამებზე), სადაც ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატის ვადის გასვლის გამო. ვინაიდან კოლეჯმა სხდომამდე წარმოადგინა განახლებული, მოქმედი სერტიფიკატი და ბრძანება დადგენილ ვადაში, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა წინადადება, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება შეცვლილიყო „შეესაბამება“-თი. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ცვლილებას.

ასევე, სხდომამდე წარმოდგენილი და ექსპერტთა მიერ ადგილზე შესწავლილი დოკუმენტაციის (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები) საფუძველზე, კომპონენტი 5.1.2.3 მიჩნეულ იქნა დაკმაყოფილებულად და მიენიჭა შეფასება „შეესაბამება“.

შედეგად, პროგრამებზე „შედუღება“ და „კულინარია“ ინდიკატორი 2.2.1 (პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები) დარჩა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“ (მატერიალური აღჭურვილობის მოწოდების პროცესის დასასრულებლად).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ,,ლაკადასთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „შედუღება“, „სადურგლო საქმე“, „კულინარია“, „მეხილეობა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ,,ლაკადას" (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „სამშენებლო

სამღებრო სამუშაოები“, „შედუღება“, „სადურგლო საქმე“, „კულინარია“, „მეხილეობა“ **(დანართი 3).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 29 ივლისი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯ „ლაკადაში“ 2.2. კომპონენტში (პროგრამების „შედუღება“ და „კულინარია“ საჭირო მატერიალური რესურსებით აღჭურვის შემოწმება - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ N2_ში) და 5.1.კომპონენტში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჭალეს თემის ფოცხო-ეწერის დასახლებაში განთავსებული სადურგლო საქმის სახელოსნოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნის წარმოდგენა). მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის განხორციელების საბოლოო ვადად განისაზღვროს 2026 წლის 16 ნოემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ.N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ.N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ.N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

პროგრამის სახელწოდება	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ.N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	50
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	65

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ცხინვალის N9, ქალაქი გორი, შიდა ქართლი, 1400, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სამშენებლო სამღებრო სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	წალენჯიხის მუნიციპალიტერი ქ.ჯვარი, ყაზბეგის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	წალენჯიხის მუნიციპალიტერი ქ.ჯვარი, ყაზბეგის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	სადურგლო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სადურგლო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ N2; 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭალეს ფოცხოეწერის დასახლება.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ N2;
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ N2;
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116